



ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ბიბლიოთეკარი

საკონტაქტო ინფორმაცია: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N 2  
ტელეფონი: 2 30 47 22; მობ.: 599 899 089

პროგრამის ხელმძღვანელი: ზურაბ გაიპარაშვილი  
ელ-ფოსტა: zurab.gaiparashvili@tsu.ge

თბილისი  
2017

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

- I. **სახელწოდება:** ბიბლიოთეკარი
- II. **ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი:** 03202-პ, რომლის საფუძველზე შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- III. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** ბიბლიოთეკარის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
- IV. **საკანონმდებლო ბაზა:**  
- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ  
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო  
- ბიბლიოთეკარის პროფესიული სტანდარტი
- V. **დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება
- VI. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**  
ბიბლიოთეკარის პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის ბიბლიოთეკებში, ქალაქის, სოფლის, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციების ბიბლიოთეკაში.
- VII. **მიზანი:**  
პროგრამის მიზანია მისცეს პირს შესაძლებლობა, მიიღოს ფართო განათლება და ძირითადი ცოდნა საბიბლიოთეკო სფეროში; აგრეთვე, განუვითაროს ის აუცილებელი უნარები და კომპეტენციები, რომლებიც საჭიროა როგორც შრომის ბაზარზე გასასვლელად, ასევე სწავლის გასაგრძელებლად, როგორც ფორმალურ, ისე, არაფორმალურ საგანმანათლებლო სისტემებში.
- VIII. **სწავლის შედეგები:**  
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:
- ბიბლიოთეკის სივრცის ორგანიზება
  - ფონდის დაკომპლექტება
  - ფონდის მართვა
  - ფონდის დაცვა
  - საცნობარო-საინფორმაციო მუშაობა
  - საბიბლიოთეკო მომსახურება
  - კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება
- IX. **ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება:**  
საგანმანათლებლო დაწესებულება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს ყველა სავალდებულო ზოგად და სავალდებულო პროფესიულ მოდულს. შესაძლებელია ითვალისწინებდეს არჩევითი სტატუსის მოდულებს ამავე პროფესიული პროგრამის მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის არაუმეტეს 20 %-სა.

ერთი და იმავე პროფესიულ სპეციალიზაციაზე შესაძლებელია შემუშავდეს ორი სახის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელთაგან ერთი განსაზღვრავს სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% -ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას.

**X. პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა:**

იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია

- მოცულობა: 116 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 21 სასწავლო თვე

იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია

- მოცულობა: 86 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 15 სასწავლო თვე

**XI. სტრუქტურა და მოდულები:**

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი მოდული/მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
1. ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3	6. გაცნობითი პრაქტიკა - ბიბლიოთეკარი	2		
2. რაოდენობრივი წიგნიერება	2	7. საწარმოო პრაქტიკა - ბიბლიოთეკარი	12		
3. ინფორმაციული წიგნიერება 1	3	8. პრაქტიკული პროექტი - ბიბლიოთეკარი	6		
4. მეწარმეობა 2	2	9. საბიბლიოთეკო სივრცის ორგანიზება	3		
5. უცხოური ენა	5	10. ფონდის დაკომპლექტება	5		
		11. ფონდის მართვა	10		
		12. ფონდის დაცვა	7		
		13. საცნობარო-საინფორმაციო მუშაობა	10		
		14. საბიბლიოთეკო მომსახურება	8		

		15. კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები	8		
<b>სულ:</b>	<b>15</b>	<b>სულ:</b>	<b>71</b>	<b>სულ:</b>	<b>0</b>

**XII. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:**

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

**XIII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:**

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრეროგატივაა. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

**XIV. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - XII პუნქტით გათვალისწინებული წესით.

**XV. ქართული ენა A2 და ქართული ენა B1**

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

**სავალდებულო ზოგადი მოდულები**

**დანართი 1.** მოდული „ინტერპერსონალური კომუნიკაცია“

**დანართი 2.** მოდული „რაოდენობრივი წიგნიერება“

**დანართი 3.** მოდული „ინფორმაციული წიგნიერება 1“

**დანართი 4.** მოდული „მეწარმეობა 2“

**დანართი 5.** მოდული „უცხოური ენა“

**სავალდებულო პროფესიული მოდულები**

**დანართი 6.** მოდული „გაცნობითი პრაქტიკა - ბიბლიოთეკარი“

**დანართი 7.** მოდული „საწარმოო პრაქტიკა - ბიბლიოთეკარი“

**დანართი 8.** მოდული „პრაქტიკული პროექტი - ბიბლიოთეკარი“

**დანართი 9.** მოდული „საბიბლიოთეკო სივრცის ორგანიზება“

**დანართი 10.** მოდული „ფონდის დაკომპლექტება“

**დანართი 11.** მოდული „ფონდის მართვა“

**დანართი 12.** მოდული „ფონდის დაცვა“

**დანართი 13.** მოდული „საცნობარო-საინფორმაციო მუშაობა“

**დანართი 14.** მოდული „საბიბლიოთეკო მომსახურება“

**დანართი 15.** მოდული „კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები“

**დანართი 16.** სასწავლო გეგმა

**დანართი 17.** პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი